პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი | № 59 (10145) | პარასკევი, 11 მარტი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 მარტის დადგენილება სოფლის მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკის შეცვლის შესახებ (1-ლი გვერდი).

მშვიდობისათვის, ხალხთა უშიშროებისათვის! — თბილისის მშრომელთა საერთო-საქალაქო კრება, მიძღვნილი პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ და გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი (მე-2 გვერდი).

თბილისის მშრომელთა დეპუტატების (მეხუთე მოწვევის) საქალაქო საბჭოს პირველი სესია (მე-2 გვერდი).

საბჭოთა კავშირ-რუმინეთის სავაჭრო ურთიერთობა (მე-3 გვერდი).

გაზეთების ფურცლებზე (მე-3 გვერდი).

სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება საერთო-სახალხო საქმეა (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 9 მარტის

დადგენილება

სოფლის მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკის შეცვლის შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და დამზადებათა სამინისტროს მიერ სოფლის მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკაში დაშვებულია სერიოზული ნაკლოვანებანი და შეცდომები. სოფლის მეურნეობის დაგეგმვის არსებული სისტემა, მისი მეტისმეტი ცენტრალიზაცია და უამრავი მაჩვენებლები, რომლებსაც უწესებდნენ კოლმეურნეობებს, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს, გამოწვეული არ იყო სახელმწიფოებრივი აუცილებლობით. სახელმწიფო რომ უზრუნველვყოთ ყველა სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით, ამისათვის სრულიადაც არ არის საჭირო ცენტრიდან ვუგზავნოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ყველა კულტურის თესვის გეგმები, დავგეგმოთ ყველა სახეობის პირუტყვი და სულადობის რაოდენობა და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შესაძლებლობა არ მივცეთ გამოიჩინონ ინიციატივა მეურნეობის უფრო სწორ და რაციონალურ გაძღოლაში.

დაგეგმვის დამკვიდრებული წესი, რის დროსაც კოლმეურნეობებს ეგზავნებოდათ თესვის გეგმები, რომლებიც ზუსტად განსაზღვრავდნენ, თუ რა კულტურა და რა რაოდენობით უნდა ითესებოდეს, რა სახეობის პირუტყვი და რა რაოდენობით უნდა ჰყავდეს კოლმეურნეობას, ბევრ შემთხვევაში იწვევდა მეურნეობის არარაციონალურ გაძღოლას. ნათესი ფართობების შაბლონური დაგეგმვა იწვევდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების არასწორ განლაგებას, რომელიც არ შეესაბამებოდა კოლმეურნეობათა ეკონომიურ და ნიადაგისა და ჰავის პირობებს, მათ მიერ სოფლის მეურნეობის გაძღოლაში შეძენილ გამოცდილებას, მიწათმოქმედების დამკვიდრებულ კულტურას და არ უწყობდა ხელს სასოფლო-სამეურნეო კულტურების საერთო მოსავლის გადიდებას. ასეთი დაგეგმვა აგრეთვე საშუალებას არ აძლევდა კოლმეურნეობებს უფრო სწორად გასძღოლოდნენ საზოგადოებრივ მეცხოველეობას, მიეღწიათ ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. ყოველივე ეს ზღუდავდა კოლმეურნეობებისა და მტს-ების ინიციატივას, ასუსტებდა მათს პასუხისმგებლობას და დაინტერესებას სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებით, არ იძლეოდა იმის სტიმულს, რომ გადიდებულიყო კოლმეურნეობისათვის მიმაგრებულ მიწის სავარგულებზე პროდუქციის გამოსავლიანობა და ამცირებდა იმის შესაძლებლობას, რომ კოლმეურნეობებს მაღალი შემოსავალი მიეღოთ.

მხოლოდ არასწორი დაგეგმვის შედეგად და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს იმ მისწრაფებით, რომ ყველაფერი ზევიდან ეკარნახათ, შეიძლება აიხსნას, რომ ჩვენი ქვეყნის სამხრეთ რაიონებს და განსაკუთრებით უკრაინის რაიონებს თავს აბეზედნენ საგაზაფხულო ხორბლის თესვას, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მუშაკები, მრავალი წლის მუშაობის გამოცდილების საფუძველზე ამტკიცებდნენ, რომ მიზანშეწონილი იყო საშემოდგომო ხორბლის თესვა. ამავე დროს ციმბირის, ურალისა და ყაზახეთის რაიონებისათვის, ადგილობრივ მუშაკთა წინააღმდეგობის მიუხედავად, იგეგმებოდა საშემოდგომო კულტურების თესვა, თუმცა საშემოდგომო პურეული ამ ზონის პირობებში, როგორც წესი, საგაზაფხულო პურეულზე გაცილებით უფრო ნაკლებ მოსავალს იძლევა.

უკანასკნელ ხანამდე, მიუხედავად იმისა, რომ სიმინდი განსაკუთრებით ძვირფასია, როგორც მარცვლეულის წარმოების მკვეთრად გადიდებისა და მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის წყარო, ამ უხვმოსავლიანი კულტურის თესვა იგეგმებოდა მხოლოდ სამხრეთი ოლქებისა და რესპუბლიკებისათვის და არ იყო გათვალისწინებული ჩვენი ქვეყნის სხვა ზონებში, თუმცა საკმაოდ მოიპოვებოდა მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მონაცემები, რომ სიმინდის მოყვანა შეიძლება ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა რაიონში.

ცნობილია, რომ ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში რამდენიმე ათეული წლის მანძილზე გლეხები ფართოდ მისდევდნენ ღორის საბეკონედ გასუქებას, დიდი გამოცდილება შეიძინეს ამ საქმეში და შექმნეს შესაბამისი საკვები ბაზა. ამავე დროს საგეგმო და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაკები გაძღიერებით ახვევდნენ თავს ბალტიისპირეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ღორეზის საქონედ და ნახევრადსაქონედ გასუქებას.

თითქოს ყველასათვის ცხადია, რომ საგარეუბნო რაიონებში, რომლებსაც საკმაო საძოვრები არა აქვთ, სახელმწიფოსათვის, კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის უფრო ხელსაყრელია განავითარონ სარძეო მეცხოველეობა და მეღორეობა. მაგრამ ამ რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ყოველწლიურად დაუსაბუთებლად უწესებდნენ ცხვრის სულადობის ზრდის დავალებებს. ამავე დროს მეცხოველეობის განვითარების გეგმებით საკმაოდ არ იყო გათვალისწინებული ყაზახეთის, ციმბირისა და შუა აზიის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ნაზმატყლიანი და ნახევრადნაზმატყლიანი მეცხვარეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი შესაძლებლობანი, მაშინ როცა იქ უდიდესი საძოვრები აქვთ.

ეწეოდნენ რა სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმების არასაჭირო დეტალიზაციას, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ამავე დროს არ ამუშავებდნენ ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის ჩვენი ქვეყნის ცალკეული ზონების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე და მიზნად არ უსახავდნენ ადგილობრივ მუშაკებს ამ პროდუქტების წარმოების გადიდებას. შორეული აღმოსავლეთის რაიონებში ყველა შესაძლებლობაა იმისათვის, რომ მოიყვანონ კარტოფილისა და ბოსტნეული კულტურების უხვი მოსავალი, აგრეთვე განავითარონ მეცხოველეობა. მიუხედავად ამისა, შორეული აღმოსავლეთის ქალაქებისა და სამრეწველო საწარმოების მომმარაგება კარტოფილით, ბოსტნეულითა და მეცხოველეობის პროდუქტებით იგეგმებოდა ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებიდან ამ პროდუქტების შებიდვის გზით.

სრულიად არასწორი იყო სახალხო-სამეურნეო გეგმაში მტს-ების ბევრი სახეობის სატრაქტორო სამუშაოთა დაწესება ცენტრიდან. ეს ბოჭავდა მტს-ების დირექტორებისა და სპეციალისტების ინიციატივას, აგრეთვე კოლმეურნეობების გამგეობათა ინიციატივას იმ სახეობათა სატრაქტორო სამუშაოების განსაზღვრაში, რომლებიც ნამდვილად საჭიროა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლის მისაღებად ადგილობრივ პირობებში.

ყოველივე ეს ერთხელ კიდევ დასტურებს, რომ სოფლის მეურნეობის დაგეგმვის არსებული წესი აუცილებლობით არ იყო გამოწვეული და ნაკარნახევი არ იყო არც სახელმწიფოს ინტერესებით, არც კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ინტერესებით.

როცა არსებობდა ასეთი ბიუროკრატული, მეტისმეტად გაბერილი, ცხოვრებას მოწყვეტილი დაგეგმვა, გათვალისწინებული არ იყო მთავარი — ის, რომ საჭიროა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პროდუქციის სასაქონლო გამოსავლიანობა დაიგეგმოს იმ ოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნიათ შემოღებულ იქნას კოლმეურნეობებში დაგეგმვის ახალი წესი, რომლის ამოსავალი საწყისი უნდა იყოს სასაქონლო პროდუქციის მოცულობა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვა უნდა იწყებოდეს უშუალოდ კოლმეურნეობებში მტს-ებთან ერთად და საბჭოთა მეურნეობებში და ეწყობოდეს მიწის სავარგულების უკეთ გამოყენების გათვალისწინებით. ამასთან დაგეგმვა და ანგარიში უნდა წარმოებდეს არა ამა თუ იმ კულტურის დათესილი ჰექტარების რაოდენობის მიხედვით და არა ჯოგში პირუტყვის სულადობის მიხედვით, არამედ მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის და მემინდვრეობის სხვა პროდუქტების მიღებული ცენტნერების რაოდენობის მიხედვით, ხორცის, რძის, მატყლისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების რაოდენობის მიხედვით.

ითვალისწინებენ რა, რომ კოლმეურნეობანი სავალდებულო ჩაბარების, ნატურანაზღაურებისა და შესყიდვის წესით სახელმწიფოს აბარებენ მათ მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მხოლოდ ნაწილს, მნიშვნელოვანი ნაწილი კი რჩება კოლმეურნეობათა განკარგულებაში, დაგეგმვის ახალი წესი კოლმეურნეობებს მისცემს დიდ შესაძლებლობას გამოიჩინონ სამეურნეო ინიციატივა საკოლმეურნეო წარმოების რეზერვების გამოყენებაში.

დაგეგმვის ახალი წესი ხელს შეუწყობს კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ინიციატივის გაძლიერებას სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში, თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიერ მათზე მიმაგრებულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობებზე პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობის მიღებას, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების პასუხისმგებლობის გაძლიერებას სახელმწიფოსათვის და, მაშასადამე, მთელი საბჭოთა ხალხისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საჭირო რაოდენობით წარმოების საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. დაწესდეს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმაში, რომელსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ამტკიცებს, გათვალისწინებულია მემინდვრეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების მოცულობა სავალდებულო ჩაბარების, მტს-ების მუშაობისათვის ნატურანაზღაურების, კონტრაქტაციისა და შესყიდვის დარგში იმ რაოდენობით, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნილებას სურსათზე და მრეწველობისას სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე, აგრეთვე მოცულობა სატრაქტორო სამუშაოებისა, რომლებსაც მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ასრულებენ კოლმეურნეობებში.

2. იმ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, რომლებსაც საოლქო დაყოფა აქვთ, სახელმწიფო გეგმის შესაბამისად აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით საგეგმო დავალებებს აძლევენ მხარეებს, ოლქებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებს.

იმ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სამხარეო და საოლქო აღმასკომები სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმას ამ მაჩვენებლების მიხედვით აძლევენ რაიონებს, ხოლო სატრაქტორო სამუშაოთა მიხედვით — მტს-ებს.

3. რაიაღმასკომები, ეყრდნობიან რა სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმას, არაუგვიანეს მიმდინარე წლის 1 სექტემბრისა კოლმეურნეობებს აძლევენ მომავალი წლის საგეგმო დავალებებს მემინდვრეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების მოცულობაზე სავალდებულო ჩაბარების, მტს-ების მუშაობისათვის ნატურანაზღაურების, კონტრაქტაციისა და შესყიდვის დარგში.

4. კოლმეურნეობები მტს-ების მონაწილეობით, ეყრდნობიან რა სახელმწიფოსათვის მემინდვრეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის ჩაბარების დავალებებს და ამ პროდუქციაზე კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების მოთხოვნილების უზრუნველყოფას, თავიანთი მიხედულობით განსაზღვრავენ სათესი ფართობების ოდენობას კულტურების მიხედვით, აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტიულობას და პირუტყვის რაოდენობას სახეობათა მიხედვით.

ითვალისწინებენ რა, რომ სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი პროდუქციის რაოდენობა საკოლმეურნეო პროდუქციის მხოლოდ ნაწილს შეადგენს, საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების გეგმის შედგენისას კოლმეურნეობები უნდა ემყარებოდნენ იმას, რომ საჭიროა მაქსიმალურად და ინტენსიურად გამოიყენონ მიწის მთელი სავარგულები, როგორც კოლმეურნეობათა ძირითადი სიმდიდრე, და გაადიდონ ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე პროდუქციის წარმოება ნიადაგის, ჰავისა და მეურნეობის კონკრეტულ პირობებში.

5. რჩება მიეცეთ კოლმეურნეობათა გამგეობებს მათ მიერ მტს-ებთან ერთად შემუშავებული კულტურათა თესვის გეგმები და მეცხოველეობის განვითარების გეგმები განიხილონ და დაამტკიცონ კოლმეურნეთა საერთო კრებებზე.

კოლმეურნეთა საერთო კრებების მიერ მიღებული კულტურათა თესვის გეგმები და მეცხოველეობის განვითარების გეგმები უნდა განიხილონ რაიაღმასკომებმა. იმ შემთხვევებში, როცა კოლმეურნეობის მიერ წარდგენილი გეგმა ვერ უზრუნველყოფს კოლმეურნეობის მიერ სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ის მუშაობისათვის ნატურანაზღაურების ჩაბარების შესრულებას სათანადო კულტურებით და მეცხოველეობის პროდუქტებით, კონტრაქტაციისა და სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებათა შესრულებას, რაიაღმასკომი რჩევას აძლევს კოლმეურნეობას გეგმაში შეიტანოს საჭირო ცვლილებანი.

6. სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისადმი კონტროლის დაწესების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, აგრეთვე ტექნიკის, ენერგეტიკის, კაპიტალდაბანდებათა და სხვა იმ მატერიალური რესურსების სწორი განაწილებისათვის, რომლებსაც სახელმწიფო სოფლის მეურნეობას აძლევს, დაეკისროს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სოფლის მეურნეობის განვითარების იმ გეგმების განზოგადება და ანალიზი, რომლებსაც ადგილობრივი ორგანოები წარადგენენ.

რაიონის კოლმეურნეობებში სოფლის მეურნეობის განვითარების მომავალი წლის ნაკრებ გეგმას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმით რაიაღმასკომები არაუგვიანეს მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისა წარუდგენენ საოლქო, სამხარეო აღმასკომებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს და იმ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ;

საოლქო, სამხარეო აღმასკომები და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები 20 ოქტომბრისათვის წარუდგენენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმებს;

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები 10 ნოემბრისათვის წარუდგენენ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოკავშირე რესპუბლიკათა სოფლის მეურნეობის განვითარების ნაკრებ გეგმებს.

7. დამტკიცდეს სახელმწიფო გეგმაში დავალებანი მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისათვის მხოლოდ სატრაქტორო სამუშაოთა საერთო მოცულობის მიხედვით ხვნაზე გადაყვანით. დაწესდეს, რომ სახეობათა მიხედვით სატრაქტორო სამუშაოთა ოდენობას სატრაქტორო სამუშაოთა საერთო მოცულობის ფარგლებში განსაზღვრავს მტს-ის დირექტორი კოლმეურნეობებთან დადებულ ხელშეკრულებათა შესაბამისად.

მტს-ების დირექტორებს უფლება მიენიჭოთ, საჭიროების შემთხვევაში, შეცვალონ წლის განმავლობაში კოლმეურნეობათა მოთხოვნითა და თანხმობით ცალკეულ სახეობათა სატრაქტორო სამუშაოების მოცულობა.

დაევალოთ მტს-ების დირექტორებს სახეობათა მიხედვით სატრაქტორო სამუშაოთა გეგმების შემუშავებისას გაითვალისწინონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის ფართოდ დანერგვა, მანქანა-ტრაქტორთა პარკის სრული გამოყენება, ადგილობრივ პირობებში საჭირო აგროღონისძიებათა კომპლექსის თავის დროზე განხორციელება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდება, მეცხოველეობისათვის საკვების წარმოების გადიდება და მოსავლის აღების დროს დანაკარგების აცილება.

8. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და მათს ადგილობრივ ორგანოებს მთელი თავიანთი მუშაობა და სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ დაწესებულებათა მუშაობა ისე წარმართონ, რომ ყოველი ღონისძიებით გაუწიონ დახმარება კოლმეურნეობებს, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს მეურნეობის განვითარების სწორ დაგეგმვასა და მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერული მიღწევების დანერგვაში, რათა 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მოყვანილ იქნას პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობა, ამასთან პროდუქციის ერთეულზე დაიხარჯოს რაც შეიძლება ნაკლები შრომა და სახსრები.

9. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაუწესოს მოკავშირე რესპუბლიკებს დავალებანი ერთ ცენტნერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე (უმნიშვნელოვანეს სახეობათა მიხედვით) სახელმწიფოს დანახარჯის ოდენობის შესახებ, პროდუქციაზე, რომელსაც იღებენ მტს-ის მუშაობისათვის ნატურანაზღაურების წესით, ამასთან ეს დავალებანი ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მეშვეობით მისცენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს.

იმ წინასწარი ცნობების მისაღებად, თუ რა ოდენობის მოსავალია მოსალოდნელი, დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს აწარმოონ იმის შეფასება, თუ რა პირი უჩანს მოსავალს, ამასთან ეს სამუშაო დააკისრონ მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მთავარ აგრონომებს.

10. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სოფლის მეურნეობის დაგეგმვის დარგში მთავარი ყურადღება მიაქციოს პერსპექტიული გეგმების შემუშავებას, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და ბუნებრივ-გეოგრაფიული ზონების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწორ განაწილებას, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ბალანსურ შეთანხმებულობას, აგრეთვე კონტროლს სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმების შესრულებისადმი და ყველა საჭირო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტით ჩვენი ქვეყნის უზრუნველყოფისადმი.

11. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს 1955 წლის 1 ივლისამდე გადასინჯონ და დაამტკიცონ კოლმეურნეობის საწარმოო გეგმის და მტს-ისა და საბჭოთა მეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმების ფორმები. ამასთან მხედველობაში მიიღონ ის ცვლილებანი სოფლის მეურნეობის დაგეგმვის პრაქტიკაში, რომლებსაც ეს დადგენილება ითვალისწინებს.

12. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს და ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად შეიმუშაონ და 1955 წლის 15 ოქტომბრისათვის წარმოუდგინონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ შემოღებულ იქნას მემინდვრეობისა და მეცხოველეობის უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების დაგეგმვა 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე გაანგარიშებით და რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები ოგეგმებოდეს უფრო ხანგრძლივი ვადით.

• • •

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ დაგეგმვის ახალი წესი საშუალებას მისცემს ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას გააუმჯობესონ მათთვის მიმაგრებული მიწის გამოყენება და მკვეთრად გაადიდონ მემინდვრეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა შემოქმედებითი ინიციატივა სოფლის მეურნეობის დაგეგმვის საქმეში ხელს შეუწყობს იმას, რომ უფრო მოკლე ვადებში გადავწყვეტოთ სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის საყოველთაო-სახალხო ამოცანა და ჩვენს ქვეყანაში საკმარისი რაოდენობით გვექნეს პური, ხორცი, რძე, კარტოფილი, ბოსტნეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და მთლიანად დავაკმაყოფილოთ მრეწველობის მოთხოვნილება ნედლეულზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ნ. ხრუშჩოვი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. ბულგანინი

მშვიდობისათვის, ხალხთა უშიშროებისათვის!

თბილისის მშრომელთა საერთო-საქალაქო კრება, მიძღვნილი პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ და გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ გრძოლის საერთაშორისო დღისადმი

საქართველოს მშრომელები ყველა საბჭოთა ადამიანთან, მილიონობით კეთილი ნების ადამიანთან ერთად აქტიურად იბრძვიან მშვიდობისათვის, ილაშქრებენ ახალი ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა გეგმების წინააღმდეგ, რომელნიც ემუქრებიან კაცობრიობას ატომური იარაღით, აღორძინებენ გერმანიის მილიტარიზმს, აკოწიწებენ სამხედრო ბლოკებს საბჭოთა კავშირის და მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მთელი ბანაკის წინააღმდეგ.

ქართველი ხალხი მხურვალედ იწონებს მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმის რეზოლუციას, რომ სსრ კავშირში მოეწყოს ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანია.

გუშინ, 10 მარტს პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ და გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს თბილისის მშრომელთა წარმომადგენლები შეიკრიბნენ შ. რუსთაველის სახელობის დრამატული თეატრის დარბაზში საერთო-საქალაქო კრებაზე, რათა გამოეთქვათ თავიანთი ურყევი ნება — კიდევ უფრო აქტიურად იბრძოლონ ახალი ომის მომზადების, დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის, ატომური იარაღის გამოყენების წინააღმდეგ, იბრძოლონ მშვიდობისათვის, ახალი შრომითი წარმატებებისათვის, სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავების მისაღწევად.

თეატრში შეიკრიბნენ ფაბრიკა-ქარხნების მუშაკები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები.

პრეზიდიუმში არიან პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, საწარმოთა მოწინავე მუშაკები, მეცნიერები, მწერლები, მსახიობები, მხატვრები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ და გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის შესახებ მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარეს მ. მ. ლელაშვილს.

იგი ამბობს, რომ განუწყვეტლივ მტკიცდება და ფართოვდება მილიონობით მშრომელთა ბრძოლა მშვიდობისათვის, ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ. ამის გამოხატულებას წარმოადგენს პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ და გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე, რომელსაც ევროპის მშრომელები პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოწოდებით აღნიშნავენ.

ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა გეგმებში პარიზის შეთანხმებებს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ხალხები არ შეიძლება არ ხედავდნენ იმ საფრთხეს, რომელიც თან მოაქვს ამ შეთანხმებებს. ეს შეთანხმებანი ითვალისწინებენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას, გერმანიის აგრესიული მილიტარიზმის აღორძინებას. პარიზის შეთანხმებათა განხორციელება მრავალი წლით გახდის შეუძლებელს გერმანიის როგორც მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენას, გამოიწვევს დასავლეთ გერმანიის გადაქცევას ომის სამიშ კერად ევროპაში.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეები მთელი ძალებით ცდილობენ მიაღწიონ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციას, გერმანიის მილიტარიზმის აღდგენას, იმიტომ რომ ეს უაღრესად მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია აგრესიული ომისა, რომელსაც ისინი საბჭოთა კავშირის და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ამზადებენ.

პარიზის შეთანხმებები უხეშად ეწინააღმდეგება საერთაშორისო ვალდებულებებს, რომლებიც იკისრეს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა და რომლებიც ითვალისწინებენ გერმანიის, როგორც მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს, ერთიანობის აღდგენას. ეს შეთანხმებანი შეუთავსებელია საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებასთან კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ, აგრეთვე ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებასთან ომის შემდეგ თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ.

ბრძოლა პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ და გერმახტის აღდგენის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, გერმანიის ერთიანობისათვის შეესაბამება მთელი გერმანელი ხალხის ძირეულ ეროვნულ ინტერესებს. მთელი გერმანიის მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული ძალების ბრძოლის ბურჯია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, სადაც მშრომელები თავიანთ ახალ ბედნიერ ცხოვრებას აშენებენ. მილიონობით პატრიოტი დასავლეთ გერმანიაში იმაღლებს ხმას პარიზის შეთანხმებათა, გერმანიის ავთვალური მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, თავისი სამშობლოს ერთიანობისათვის. მაგრამ დასავლეთ გერმანიის ბონელი მმართველები, რომლებიც ემორჩილებიან იმას, რასაც მათ ვაშინგტონიდან უკარნახებენ, ყველაფერს აკეთებენ რათა განახორციელონ პარიზის შეთანხმებანი, აღადგინონ ვერმახტი, არ დაუშვან გერმანიის ერთიანობის აღდგენა.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სულ უფრო ფართოვდება და მტკიცდება პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტი. ვერავითარი ხრიკებით, ვერავითარი პროპაგანდისტული ხერხებით სიფხიზლეს ვერ მოუდუნებენ ხალხებს, რომლებსაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ჩაფუშონ იმპერიალისტთა შავბნელი გეგმები. მშვიდობის ასეულ მილიონობით მომხრეთა ნება გამოთქმულია მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებაში, სადაც ნათქვამია, რომ ხალხები უარყოფენ ვერმახტის შექმნას, ილაშქრებენ იმ არმიის აღდგენის წინააღმდეგ, რომელიც წარსული ომის დროს სიკვდილსა და ნგრევას თესავდა ევროპაში.

საბჭოთა კავშირი, ევროპის ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო ითვალისწინებენ იმ საფრთხეს, რომელიც მათ მოელით პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციით და გერმანიის მილიტარიზმის აღდგენით. როგორც აღნიშნულია რვა სახელმწიფოს მოსკოვის თათბირის დეკლარაციაში, მშვიდობისმოყვარე ხალხები ყველაფერს გააკეთებენ, რაც კი საჭიროა, რათა უზრუნველყონ თავიანთი უშიშროება და საჭიროების შემთხვევაში გამაწადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიონ აგრესორებს.

იმპერიალისტ აგრესორებს, რომლებიც ახალ ომს ამზადებენ, სურთ ატომური და წყალბადის იარაღი გამოიყენონ. ისინი მოქმედებენ ყბადაღებული „ძალის პოზიციის“ პოლიტიკით, სურთ ატომური შანტაჟით დააშინონ ხალხები. მაგრამ ხალხებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი არ დაუშვან ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენება, აკრძალონ მასობრივი მოსპობის ამ საშუალებათა გამოყენება.

ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი მხურვალედ იწონებს მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის რეზოლუციას, კომიტეტისა, რომლის მოწოდებით 1 აპრილიდან სსრ კავშირში უნდა დაიწყოს ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანია. ყველა საბჭოთა ადამიანი ერთსულოვნად მოაწერს ხელს ამ მიმართვას.

ყოველი საბჭოთა ადამიანი სულით და გულით უჭერს მხარს კომუნისტური პარტიის პოლიტიკას, რომლის მიზანია სამშობლოს ძლიერების გადიდება, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, მშვიდობის საქმის დაცვა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული მშრომელები კვლავაც თავდადებით იბრძოლებენ კომუნისტური მშენებლობის პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც პარტიამ შეიმუშავა, საყვარელი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, მშვიდობის დიადი საქმისათვის.

გამოდის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი.

— საქართველოს მეცნიერები, — ამბობს იგი, — მთელ ქართველ ხალხთან ერთად, ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად ხმას იმაღლებენ ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, იბრძვიან მშვიდობის დასაცავად.

— კეთილი ნების ადამიანთა უზენაესი მოვალეობაა, — ამბობს შემდეგ ამხ. მუსხელიშვილი, — აიკრძალოს მომაკვდინებელი ატომური იარაღი. ატომის ენერგია — ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი აღმოჩენა — უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ და მხოლოდ კაცობრიობის კეთილდღეობას და საზოგადოების საწარმოო ძალების შემდგომ აღმავლობას. ჩვენ მოვუწოდებთ მსოფლიოს ყველა მეცნიერს გააერთიანონ ღონისძიებანი იმ კეთილშობილური მიზნების, ადამიანთა ბედნიერების მიზნების მისაღწევად, რომლებსაც უნდა ემსახურებოდეს ყოველი ნამდვილი მეცნიერება.

ტრიბუნაზეა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი ი. დ. ჭუმბურიძე.

— პარიზის შეთანხმებათა სულისჩამდგმელნი, — თქვა მან, — აძლიერებენ ღონისძიებებს, რათა ააღორძინონ გერმანიის მილიტარიზმი, გამოიყენონ იგი სსრ კავშირის და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიული გეგმებისათვის. ახალი ომის წამომწყებთ სურთ გამოიყენონ მომაკვდინებელი ატომური იარაღი. მაგრამ ისინი სიფხიზლეს ვერ მოუდუნებენ ხალხებს, რომლებიც ჩაფუშავენ მათს ვერაგულ ზრახვებს.

ჩვენი ხალხი მშვიდობის მომხრეა. საბჭოთა ადამიანებს ესაჭიროებათ მშვიდობა, რათა ააგონ კომუნიზმის ნათელი შენობა, რათა უფრო ლამაზი გახადონ ჩვენი დიდი სამშობლო. მაგრამ ჩვენ გვახსოვს პარტიის ბრძნული მითითებანი, რომ საჭიროა დაუცხრომლად განვამტკიცებდეთ ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობას. ჩვენ მუქარისა არ გვეშინია. ხომ მრავალჯერ უცდიათ ჩვენი დაშინება, არაერთხელ ხელუყვიათ ჩვენი მონაპოვარნი, მაგრამ ნუ დაივიწყებენ ომის გამჩაღებლები ისტორიის გაკვეთილებს, ნუ ეთამაშებიან ცეცხლს.

ყველა იმათი ხრიკების პასუხად, ვინც აგრესიას ამზადებს, ჩვენ გავამრავლებთ ღონისძიებებს სამშობლოს ძლიერების განსამტკიცებლად. ხელს მოვაწერთ რა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ, ჩვენ ერთხელ კიდევ ცხადყოფთ განუხრელ მისწრაფებას ვიბრძოლოთ მშვიდობისათვის, ომის წინააღმდეგ, გამოვთქვამთ სოლიდარობას ასეულ მილიონობით უბრალო ადამიანებთან, რომლებსაც სძულთ ომი და ძლიერ სურთ მშვიდობა.

სიტყვას ამბობს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის წევრი ნ. ა. ჯავახიშვილი. იგი ამბობს, რომ მშვიდობის მტრები აჩქარებენ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციას, გერმანიის მილიტარიზმის აღდგენას. ეს მათ იმისათვის სჭირდებათ, რომ კაცობრიობას კვლავ დაატეხონ თავს ახალი ომის საშინელება. მაგრამ ომის გამჩაღებლები ანგარიშში მოტყუვდებიან. ომის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის საბრძოლველად დაირაზმა მილიონობით ადამიანი, რომელთა ნება უფრო ძლიერია, ვიდრე მშვიდობის მტრების ყველა ხრიკი და ოინი.

— ქალები, რომლებიც დედამიწის მოსახლეობის ნახევარს შეადგენენ, — განაგრძობს იგი, — აქტიურ მონაწილეობას იღებენ აგრესიის ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი იმისათვის კი არ ზრდიან შვილებს, რომ ნახონ მათი დაღუპვა ახალ ომში. მილიონობით დედას ჯერ კიდევ არ დავიწყებია წარსული ომის ტანჯვა და უბედურება, ხოლო ის ომი, რომელსაც პარიზის შეთანხმებათა სულისჩამდგმელები ამზადებენ, უფრო მეტ უბედურებას მოიტანს. აი ამიტომ მთელი მსოფლიოს ქალები იბრძვიან პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ.

სიტყვა ეძლევა ინჟინერს ა. ფ. გუმბერიძეს.

— პარიზის შეთანხმებანი, — ამბობს იგი, — მიმართულია მშვიდობისმოყვარე ხალხთა წინააღმდეგ. ეს შეთანხმებანი აძლიერებენ ომის საფრთხეს. ხალხები ვერ დაუშვებენ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებას, იმათი გეგმების განხორციელებას, ვინც რევანშზე ოცნებობს. ახალი ომის გამჩაღებლებს უპირდაპირდება ხალხთა მშვიდობისათვის, უშიშროებისათვის მებრძოლთა ფრონტი. მშვიდობის მომხრეთა ძალები უძლეველი არიან, საბჭოთა ხალხის მხარდამხარ მშვიდობისათვის იბრძვიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელთა მასები. მათთან ერთად კაპიტალისტური ქვეყნების უბრალო ადამიანებს სულ უფრო ნათლად ესმით, საითკენ ეწევიან მათ ომის გამჩაღებლები, რომლებიც ემზადებიან გამოიყენონ ატომური იარაღი.

საქართველოს მშრომელთა ხმა უერთდება მრავალი მილიონი ადამიანის ხმას, რომლებიც მოითხოვენ მშვიდობას, ატომური იარაღის აკრძალვას, პარიზის შეთანხმებათა უარყოფას.

გარეუბნის რაიონის ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მწველავმა მ. ვ. ივანიკოვამ თქვა:

— ყოველი საბჭოთა ადამიანი სიტყვითა და საქმით ცხადყოფს, რომ მზად არის იბრძოლოს მშვიდობის საქმისათვის, რომ იწონებს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას. ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა არის ომი. ომს თან მოაქვს ნგრევა, ადამიანთა ტანჯვა და დაღუპვა. ჩვენ მშვიდობა გვსურს, რათა შეგვეძლოს ვაშენებდეთ და ვქმნიდეთ. მაგრამ არ კმარა მხოლოდ გვსურდეს მშვიდობა. მშვიდობისათვის საჭიროა აქტიური ბრძოლა. საბჭოთა ადამიანებს მშვიდობისათვის ბრძოლა მიიჩნიათ თავდადებულ შრომად იმ ამოცანების განსახორციელებლად, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ დასახა, საყვარელი სამშობლოს ძლიერების გასაადიდებლად. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში თავიანთი წვლილი შეაქვთ საქართველოს კოლმეურნეებსაც. ჩვენი არტელის წევრები, ასრულებენ რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, აღწევენ საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდას, მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებას.

საქართველოს სახალხო მხატვარი, საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე უ. მ. ჯაფარიძე თავის სიტყვაში შეეხო მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის მომხრეთა წარმატებებს.

— საბჭოთა სახელმწიფო, — ამბობს იგი, — მშვიდობის ურყევი ბურჯია, მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის, ხალხთა შორის მეგობრობისათვის ბრძოლის დაუცხრომელი მქადაგებელია. ყველა ქვეყნის მშრომელები სიყვარულითა და იმედით შეჰყურებენ მშვიდობისმოყვარე საბჭოთა სახელმწიფოს, მიაჩნიათ იგი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ურყევ ბურჯად.

— მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებამ, — თქვა დასასრულ ამხ. ჯაფარიძემ, — იმის შესახებ, რომ სსრ კავშირში მოეწყოს ატომური ომის მომზადების წინააღმდეგ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვება, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ერთსულოვანი მოწონება და მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა.

საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად მოაწერენ ხელს ამ მიმართვას. ისინი მჭიდროდ არიან დარაზმულნი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მთელი ძალებით დაიცვან მშვიდობის საქმე.

გამოდის სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ლიანა ბურჭულაძე. იგი ამბობს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას, თავისი წვლილი შეაქვთ მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში.

— ჩვენ მშვიდობა გვინდა, რათა ვიშრომოთ სამშობლოს საკეთილდღეოდ, ხალხის საბედნიეროდ, — ამბობს იგი.

გამოთქვამს რა საბჭოთა ახალგაზრდობის პატრიოტულ გრძნობებს, ორატორი ამბობს, რომ საბჭოთა ქვეყნის ჭაბუკებსა და ქალიშვილებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებით იბრძოლონ კომუნიზმის გამარჯვებისათვის, მშვიდობის საქმის განმტკიცებისათვის.

შემოდის წინადადება რეზოლუციის მიღების შესახებ. რეზოლუციის ტექსტს კითხულობს მწერალი ა. ი. ბელიაშვილი. თბილისის მშრომელთა საერთო-საქალაქო კრების მონაწილენი ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში პროტესტს აცხადებენ პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ და გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ, იწონებენ მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ სსრ კავშირში მოეწყოს ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვება და აცხადებენ, რომ საბჭოთა ადამიანები, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან რა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, ყოველ ღონეს იხმარენ კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის განსახორციელებლად, გაამრავლებენ თავიანთ ღონისძიებებს მშვიდობისათვის ბრძოლაში. (საქდესი).

თბილისის მშრომელთა საერთო-საქალაქო კრება, მიძღვნილი პარიზის შეთანხმებების წინააღმდეგ და გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი. ტრიბუნაზეა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი ამხ. ი. ჭუმბურიძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს (მეხუთე მოწვევის) პირველი სესია

9 მარტს გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების (მეხუთე მოწვევის) საქალაქო საბჭოს პირველი სესია.

სესია გახსნა უხუცესმა დეპუტატმა პროფესორმა ლ. ნ. დიასამიძემ.

თავმჯდომარედ აირჩიეს დეპუტატი დ. გ. მამაცაშვილი, მდივნად — დეპუტატი ე. ი. აბულაძე.

სესიამ განიხილა საკითხები: სამანდატო კომისიის არჩევა და მისი მოხსენება, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განყოფილებათა გამგეების დამტკიცება, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მუდმივი კომისიების შექმნა.

სესიამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ თ. ნ. ეგაძის მოხსენება. მომხსენებელი ამბობს, რომ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნები იყო კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ხალხის მონოლითური ერთიანობის ახალი მკაფიო დემონსტრაცია.

თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატებად არჩეული არიან კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის ღირსეული კანდიდატები, მშრომელთა მოწინავე წარმომადგენლები — მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, საბჭოთა არმიის მეომრები. არჩეულთა შორის 57,2 პროცენტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრები და კანდიდატები არიან. დეპუტატთა შორის 42,3 პროცენტი ქალია. დეპუტატთა 80 პროცენტს მიღებული აქვს უმაღლესი და საშუალო განათლება, 317 დეპუტატი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

სესიამ დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება. მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევანი ითვლება საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და არჩევნების დებულების საფუძველზე, და სრული შესაბამისობით.

შემდეგ სესიამ აირჩია თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი მ. კ. მაღრაძე.

თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩეულია დეპუტატი ვ. დ. ეპიტაშვილი.

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეებად — დეპუტატები თ. კ. ქუთათელაძე, ბ. ე. ლომიძე, კ. დ. ბუჯიაშვილი.

აღმასკომის მდივნად სესიამ აირჩია დეპუტატი შ. რ. ბაქრაძე.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრებად არჩეული არიან დეპუტატები ე. ა. სეხნიაშვილი, დ. გ. მამაცაშვილი, გ. ლ. ბერიძე, მ. ა. თათარაშვილი, ვ. გ. ტყეშელაშვილი, კ. გ. სოხაძე, ე. მ. ჩაგელიშვილი, ა. პ. ძლიერიშვილი, ა. ა. თევზაძე, ვ. თ. ზაქარაიძე, შ. მ. ტიტვინიძე, შ. ი. ყუფარაძე, მ. მ. საკანდელიძე, თ. მ. მათიაშვილი.

სესიამ დაამტკიცა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განყოფილებათა გამგეები.

სესიამ შექმნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს 11 მუდმივი კომისია. არჩეულია სახალხო განათლების, კომუნალური მეურნეობის, ქალაქის კეთილმოწყობისა და მშენებლობის, ვაჭრობის, გამწვანების, ადგილობრივი მრეწველობის, საფინანსო-საბიუჯეტო, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის, საბინაო მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, სამხედრო-ფიზკულტურული მუშაობის, სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიების შემადგენლობა. (საქდესი).

რაიკომის ინსტრუქტორთა საოლქო თათბირი

სტალინირი. (საკ. კორ.). საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა მოაწყო პარტიის რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორთა საოლქო თათბირი, რომელიც მიეძღვნა სსკპ-ის კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანებს.

თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს რაიკომის ინსტრუქტორთა ინფორმაციები მათ მიერ მტს-ების ზონებში გაწეული მუშაობის შესახებ. თათბირზე გამოირკვა, რომ ზოგიერთი ინსტრუქტორი ნაკლებად სწავლობს სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, მის ეკონომიკასა და ტექნიკას, სუსტად ერკვევა მეცხოველეობისა და ბენინეგრეობის საკითხებში. პარტიის სტალინირის რაიკომის ინსტრუქტორების ჭუსისის მტს-ის ზონაში ამხ. ზ. ვალიევისა და ს. სიმონიშვილის გამოსვლებმა ცხადყო, რომ ისინი დრმად ვერ ერკვევიან ადგილებზე შექმნილ ვითარებაში, სუსტად მუშაობენ ადამიანებთან.

ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რომლის გარშემოც თათბირზე ფართო მსჯელობა გაიმართა, იყო მეცხოველეობის ფერმებში პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების საკითხი. თათბირზე აღინიშნა, რომ მეცხოველეობის ბევრ ფერმაში არ გამოდის კედლის გაზეთები და „საბრძოლო ფურცლები“, მოწყობილი არ არის წითელი კუთხეები. მეცხოველეობის მუშაკებისათვის ეშვიათად ეწყობა მოხსენებები, ლექციები და საუბრები. ამ მხრივ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ხნაურის რაიონის სოფელ ძველეთის, ოქონისა და თიერეგვნის კოლმეურნეობების მეცხოველეობის ფერმებში. პარტიის ხნაურის რაიკომის ინსტრუქტორებმა მტს-ის ზონებში ამხ. ბ. ცხოვრებოვმა, გ. ტატაევმა და რ. კაჯაევმა თვითდინებას მიანდეს მწველავებთან, მწყემსებთან და ფერმის სხვა მუშაკებთან პოლიტიკურ-აღზრდელობითი მუშაობა. პარტიის ჯავის და ლენინგორის რაიონული კომიტეტების ინსტრუქტორები მტს-ების ზონებში არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებთან, აგიტატორებთან, პოლიტიკურ მუშაობაში არ ამამენ სოფლის ინტელიგენციას. პარტიის რაიონული კომიტეტების პირველმა მდივნებმა ინსტრუქტორებთან მუშაობა მთლიანად გადაანდეს რაიკომის მდივნებს მტს-ების ზონებში.

ამ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად თათბირმა დასახა სათანადო ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებას.

გადაწყვეტილებებს ბევრს იღებენ, მდგომარეობა კი უცვლელია...

ზარშან ახალციხე-ქანაბზირის სამმართველოს პირველმა შახტმა ცუდად იმუშავა. ჩამორჩენა წელსაც გრძელდება. ხშირია სამთო მექანიზმების მოცდენის შემთხვევები, ყურადღება არ ექცევა სამუშაო ფრონტის დროულად მომზადებას, სუსტად ხორციელდება წარმოების ორგანიზაციის მოწინავე მეთოდი — ციკლური მუშაობის გრაფიკი. ყოველივე ამის გამო დაბალია შრომის ნაყოფიერება.

შახტის პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებებზე კომუნისტები სისტემატურად მსჯელობენ სამეურნეო საკითხებზე. დღის წესრიგში ხშირად დგას ასეთი საერთო ხასიათის საკითხი: „წინა თვეების მუშაობის შედეგები და მომავლის ამოცანები“. მომხსენებელიც ყოველთვის ერთი და იგივეა — შახტის უფროსი ამხ. გ. როინიშვილი. მსჯელობენ, გამოაქვთ გადაწყვეტილებები, მდგომარეობა კი უცვლელია.

რა არის ამის მიზეზი? ის, რომ პარტიული ორგანიზაცია არ ცდილობს დრმად ჩასწვდეს ნაკლოვანებათა მიზეზებს, ყურს არ უგდებს მეშახტეთა წინადადებებს, პრაქტიკულად არ ახორციელებს კომუნისტების მიერ დასახულ ღონისძიებებს.

ამას წინათ პარტბიუტრომ კომუნისტთა კრების მსჯელობის საგნად გახადა ქანაბზირის ამოღების გეგმის შეუსრულებლობის საკითხი. მაგრამ საკითხი წინასწარ გულდასმით არ იყო შესწავლილი და მომზადებული. მომხსენებელი ამხ. გ. როინიშვილი კრებაზე მოუმზადებელი მოვიდა.

კრება უფერულად წარიმართა. მომხსენებლის მაგალითისამებრ ზოგიერთი მოკამათეც უწყინარი შენიშვნებით დაკმაყოფილდა. მეორე უბნის უფროსმა ამხ. ვ. ბახჩიანმა და კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ამხ. ზ. ბლუაშვილმა თავიანთი გამოსვლები შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხს მიუძღვნეს. მაგრამ მათ არადერი თქვეს იმაზე, თუ ვინ არღვევს შრომის დისციპლინას.

მიუხედავად ამისა, კრებაზე აღმოჩნდნენ კომუნისტები, რომლებმაც გაბედულად ილაპარაკეს მუშაობის ნაკლოვანებებზე. მაგალითად, კომუნისტებმა ამხ. ა. ბრავალენკომ, ბ. ტეფნაძემ, კომკავშირელმა ამხ. პ. ხარჩილაძემ აღნიშნეს ტრანსპორტიორების გაუმართავი მუშაობა, რის შედეგადაც პირველ ცვლაში ფერხდება ცარიელი ეკიპაჟების მიწოდება. ეს მდგომარეობა ართულებს ქვანახშირის მტვირთავთა შრომას. მათ მოითხოვეს ამ ნაკლოვანებების გამოსწორება. მაგრამ ეს წინადადებანი ანათუ არ განხორციელებულა, არამედ კრების გადაწყვეტილებაშიც არ შეუტანიათ.

მეშახტეთა შენიშვნებისა და საქმიანი წინადადებებისადმი უსულგულო დამოკიდებულებამ, ნაკლოვანებებისადმი შემარიგებელმა განწყობილებამ მიიყვანა პარტორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობა, ზიანი მიაყენა შახტის სამეურნეო საქმიანობას, შეასუსტა შრომის დისციპლინა.

ეშვიათია ისეთი კრება, რომელსაც არ მიეღოს გადაწყვეტილება შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის გაძლიერების შესახებ. მაგრამ პარტბიუტრო მხოლოდ დეკლარაციული გადაწყვეტილებების მიღებით კმაყოფილდება. ერთ-ერთ პარტიულ კრებაზე დიდ დრო დაეთმო შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის საკითხს. საშახტო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ბ. ალექსანიანმა სიზეიმოდ განაცხადა: „ამ ხოლო დროს გაუმჯობესდა შრომის დისციპლინა“. კრება მიენდო ამ განცხადებას და ზოგადი გადაწყვეტილების მიღებით დაკმაყოფილდა.

ზოგჯერ პარტიული ორგანიზაცია მნიშვნელოვანი საქმის თაოსნად გამოდის, მაგრამ ხშირად ეს თაოსნობა ქაღალდზე რჩება. მაგალითად, პარტბიუტრომ წამოაყენა საკითხი ბირველადის ციკლური მუშაობის მეთოდზე გადაყვანის შესახებ. მას შემდეგ საკმაო დრომ განვლო, მაგრამ ციკლური მუშაობის მეთოდი ლავში აქამდე არ არის დანერგილი.

ახალციხელ მეშახტეთა დიდი უმრავლესობა ახალგაზრდობა. ბევრი მათგანი წარმოებაში ახალმოსულია და საწარმოო კვალიფიკაციის დაბალი დონის გამო ვერ ასრულებს დავალებას. სწორად მოიქცა პარტიული ორგანიზაცია, რომ კომუნისტთა ერთ-ერთ კრებაზე ახალმოსულ მეშახტის საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი განიხილა. მომხსენებელი იყო ინჟინერი ამხ. ი. ხეცურიანი. მასვე დაეკვალა ტექნიკური მინიმუმის შემსწავლელი წრის ხელმ

საბჭოთა კავშირ-რუმინეთის სავაჭრო ურთიერთობისათვის

მოლაპარაკების შედეგად, რომელიც წარმატებით დამთავრდა, ამა წლის 9 მარტს მოსკოვში ხელი მოაწერეს ოქმს 1955 წელს საბჭოთა კავშირსა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საქონლის ურთიერთ მიწოდების შესახებ.

ოქმის შესაბამისად საბჭოთა კავშირი რუმინეთის მიაწვდის სამრეწველო მოწყობილობას, ავტომობილებს, ტრაქტორებს, კომბაინებს, შავი ლითონების ნაგლინს, ფერად ლითონებს, რკინას მადანს, ბამბასა და რუმინეთის სახალხო მეურნეობისათვის საჭირო სხვა საქონელს.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკა სსრ კავშირს მიაწვდის ნავთობის პროდუქტებს, ხე-ტყეს, თევზსაჭერ გემებს, კარქაჰებსა და სხვა საქონელს, რომლებსაც რუმინეთი სსრ კავშირს წარსულ წლებშიც აწვდიდა.

ოქმს ხელს აწერენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — საგარეო ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე ს. ა. ბორისოვი, რუმინეთის მხრივ — საგარეო ვაჭრობის მინისტრი მ. პოპესკუ.

გაზეთების ფურცლებზე

მისაბაძი ინიციატივა

ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძი“ ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებით მან სერიოზულ წარმატებებს მიაღწია საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობის ზრდასა და მისი პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში.

კოლმეურნეობაში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ვეგმა გასულ სამეურნეო წელს შესრულებულ იქნა 101 პროცენტით, ცხვრისა — 104,6 პროცენტით, ღორისა — 110,2 პროცენტით. გადაჭარბებით იქნა შესრულებული მეცხოველეობის პროდუქტიულობის დავალებაც.

მეზობელი რაიონის ამ მოწინავე კოლმეურნეობის მეცხოველეთა გამოცდილების ყვარლის რაიონის კოლმეურნეებისათვის გაცნობის მიზნით რაიონულმა გაზეთმა **„ლენინური გზით“** მთელი გვერდი დაუთმო კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მეცხოველეთა საქმიანობას. კოლმეურნეობის თავმჯდომარის გ. ნატროშვილის, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნის გ. სესიტაშვილის, მეძროხეობის ფერმის გამგის ს. ტლიაძის და სხვ. წერილებში მოთხრობილია იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც ახორციელებენ მეცხოველეები პირუტყვის სულადობის გადიდებისა და პროდუქტიულობის ამაღლებისათვის.

გაზეთში მოთავსებულ საინტერესო მასალებს შორის ყურადღებას იპყრობს კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ მეძროხეობის ფერმის მოწინავე მწველავი-მომვლელის ს. ჩაბალაშვილის წერილი, რომელშიც იგი მოგვითხრობს ძროხების მოვლის თავის გამოცდილებაზე. „დილის 5 საათიდან იწყება ჩემი საქმიანობა, — წერს იგი, — ძროხებს ვასუფთავებ ჯაგრისით, 6 საათიდან ვიწყებ წველას, 7-ზე ვაძლევ კონცენტრირებულ საკვებს, ხოლო შემდეგ მდელოს თიბას. 8 საათზე კვლავ ვასუფთავებ და ვასვენებ 13 საათამდე. შემდეგ ვიწყებ მეორედ წველას. მოწველის შემდეგ ვაძლევ კონცენტრირებულ საკვებს, შემდეგ სილოსს და 15 საათზე გამოვუშვებ ჰაერზე, რაც ორ საათს გრძელდება. 20 საათზე ვწველი მესამედ, ვაძლევ კონცენტრირებულ საკვებს და მდელოს თივას...“

გაზეთმა „ლენინური გზით“ მისაბაძი ინიციატივა გამოიჩინა, მის ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალების გაცნობა სარგებლობას მოუტანს ყვარლის რაიონის მეცხოველეებს.

მწველავთა რაიონული თათბირი

მოწინავე მწველავთა გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით მოეწყო გარეუბნის რაიონის მწველავთა რაიონული თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ აგრეთვე ფერმების გამგეები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. თათბირზე მწველავთა გამოცდილების ამსახველი მრავალი საინტერესო მაგალითი იქნა მოყვანილი. როგორც გარეუბნის რაიონული გაზეთი **„სტალინური დროშა“** წერს, ორთაჭალის კოლმეურნეობის მოწინავე მწველავმა ო. ქაჯაიამ, რომელიც 18 წელია ამ საქმეს ემსახურება, თათბირის მონაწილეებს უამბო თავის მიღწევებზე. შარშან მან 14 ძროხიდან თვითეულზე 2.700-ის ნაცვლად 3.070 ლიტრი რძე მიიღო. წელს კი გადაწყვეტილი აქვს თვითეული ძროხის წველადობა 4.000 ლიტრამდე გაზარდოს. ამ წარმატებებს მიაღწია მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის სოფელ ტიმონინოს კოლმეურნეობის მეცხოველეთა გამოცდილების შესწავლითა და გამოყენებით. ახლა კოლმეურნეობის ფერმაში მტკიცედ იცავენ კვების რაციონს, რომელიც თვითეულ ძროხაზე ცალცალკე დგება. ძროხებს დღეში ოთხჯერ აძლევენ სილოსს, კონცენტრატებს, უხეშ საკვებს, ქატოს და სხვ. ძროხებს წველიან სამჯერ, უახლოეს ხანში დაიწყებენ ოთხჯერ წველას. ფერმაში ყველა პროცესი მექანიზებულია, აქვთ ავტომატური სარწყულებლები, საკვების შესამზადებელი საამქრო, ნაკელის გასატანი მოწყობილობა და სხვ.

მეხუთე ხუთწლედის ტექნიკა





სსრ კავშირის სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ბრიანსკის საგზაო მანქანათა ქარხანამ დაამზადა ახალი გრუნტსარევი მანქანა — დ-282, რომელიც გამოყენებულ იქნება საგზაო მშენებლობაზე. ამ მანქანის გამოყენება მნიშვნელოვნად აკლებს ქვის მასალების საჭიროებას, უზრუნველყოფს კომპლექსურ მექანიზაციას და ფითქმის სამჯერ აიაფებს საგზაო სამუშაოებს. ახალი მანქანის კონსტრუქციული წარმადობაა 1.000 კვადრატულ მეტრამდე საათში. მანქანა ორი აგრეგატისაგან შედგება. ერთი მათგანი ახდენს ცემენტის დოზირებას, აფხვიერებს და ფშვნის გრუნტს, მშრალად შეაზავებს გრუნტსა და ცემენტს; მეორე აგრეგატი ხდება წყლის დოზირება და გრუნტისა და ცემენტის მშრალი ნარევის წყალთან შეზავება.

გრუნტსარევი მანქანა ფართოდ იქნება გამოყენებული ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონების სოფელ ადგილებში გზების მშენებლობაზე.

სურათებზე: ზემოთ — გრუნტსარევი მანქანის დ-282 აგრეგატი, რომლითაც ხდება გრუნტის გაფხვიერება და დაფშვნა, ცემენტის დოზირება და მშრალად შერევა გრუნტთან. ქვემოთ — გრუნტსარევი მანქანის დ-282 აგრეგატი, რომლითაც ხდება წყლის დოზირება და ცემენტისა და გრუნტის მშრალი ნარევის წყლით შეზავება.

ფოტო ვ. მასტიუკოვისა და ს. პრეობრაჟენსკისა (საკავშირო ფოტოქრონიკა).

მეშახტეები საწარმოო ვახტზე

ტყიბული. (საკ. კორ). მეტი და მაღალწარმადობიანი სათბობი სოციალისტური ინდუსტრიის საწარმოებს — ასეთი ლოზუნგით მუშაობს საქართველოს მეშახტეთა შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორი, ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის მეშახტეთა კოლექტივი.

ტრესტმა ქვანახშირის ამოღების 1955 წლის იანვრისა და თებერვლის დავალება წარმატებით შეასრულა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ქვანახშირის ამოღება ერთნახევარი პროცენტით გაიზარდა.

კარგი მუშაობით გამოირჩევიან სტალინისა და ლენინის სახელობის შახტები. თებერვლის დავალება პირველმა 108,2 პროცენტით შეასრულა, ხოლო მეორემ — 106,2 პროცენტით.

მარტის პირველი რიცხვებიდან მეშახტეები საწარმოო ვახტზე დგანან და თავდადებით იბრძვიან ქვანახშირის ამოღების პირველი კვარტალის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

ახალი ეთნოგრაფიული გამოფენა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებამ გასული წლის ბოლოს დაამთავრა თავისი ხანგრძლივი მეცნიერული მუშაობა და მოაწყო საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენა. გამოფენა ორი ნაწილისაგან შედგება. ერთ ნაწილში წარმოდგენილია ქართველი ხალხის ძველი, რევოლუციამდელი ყოფა და კულტურა, ხოლო მეორე ნაწილში — ახალი, საბჭოთა პერიოდის ყოფა და კულტურა.

გამოფენის დანიშნულებაა ექსპონატებით ნათლად აჩვენოს ქართველი ხალხის როგორც ძველი, ისე ახალი მატერიალური კულტურა და ყოფა.

გამოფენის ავტორები — მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების მეცნიერი თანამშრომლები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფ. გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით, არ კმაყოფილდებიან მარტო ეთნოგრაფიულ ექსპონატთა უტყვი ჩვენებით, არამედ საგნებთან ადამიანთა დამოკიდებულების გამოსახატავად მიმართავენ რუკებს, დიაგრამებს, ნახაზებს, ფოტოსურათებს, ნახატებს, უჩვენებენ ეთნოგრაფიულ საგანთა დამზადებისა და გამოყენების პროცესებს. ეთნოგრაფიულ საგანთა კომპლექსთან ისინი სოციალურ ცხოვრებას ასახავენ. ეს ღირსება გამოფენის მარტო ტექნიკურ-არქიტექტურულ დამუშავების შედეგი კი არ არის, არამედ იგი ძირითადად იმ დიდი მეცნიერული მუშაობის ნაყოფია, რაც ჩვენს ეთნოგრაფებს გაუწევიათ თავიანთი მდიდარი ექსპონატების შესასწავლად.

გამოფენის პირველ ნაკვეთში — „ძველი ყოფა და კულტურა“ — მნახველს თვალწინ წარმოუდგება საქართველოს ისტორიული წარსულის მატერიალური და სულიერი კულტურის მდიდარი მემკვიდრეობა: მუსიკალური საკრავები, ცივი და სასროლი იარაღი, ლითონისა და კერამიკის საოჯახო ნივთები და სხვ.

დარბაზის დასაწყისშივე წარმოდგენილია მაკეტი რკინის ძველი სადნობი ჭურისა. ამ ტიპის ჭურა გავრცელებული იყო რაჭაში.

მნახველი რწმუნდება, რომ ქართველ ტომებში ლითონის მოპოვება და წარმოება IX-VI საუკუნეებში (ძველი წელთაღრიცხვით) მაღალ დონეზე იდგა. გამოყენებული იყო ოქროს, ვერცხლის, სპილენძის, ბრინჯაოსა და რკინის დამუშავების სხვადასხვა ხერხი: ცივი კვერვა, ჩამოსხმა, ამოკვეთა, გრეხილი, ზარნიში, სვეადა და მოოქვა. იმდროინდელ კულტურულ სამყაროში თუბალებს, ხალიბებსა და მოსინიკებს საუკეთესო მეტალურგების სახელი ჰქონდათ მოხვეჭილი. მათი ლითონის ნაწარმი აღმოსავლეთით ასურეთსა და მიდიას და სამხრეთით პალესტინას სწვდებოდა. ქართველმა ხალხმა ლითონის დამუშავების ეს უძველესი კულტურა შემდეგ საუკუნეებში განავითარა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა.

ფოტოსურათებით ნაჩვენებია მადნის ხელით მონგრევა ძველი ჭიათურის სანგრევში, მარგანეცის მადნის გადაზიდვა ცხენებით და სხვ.

გამოფენის ვიცელ დარბაზებში ექსპონატების, ფოტოების, დიაგრამების, მაკეტებისა და სხვა საშუალებებით თანმიმდევრობით იშლება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზედ საქართველოს მატერიალური კულტურისა და ყოფის დასახასიათებელი სურათები: ბაზრების გადაცემება და მთავარი გზები, ქალაქისა და სოფლის შოსახლეობის პროცენტული შეფარდება, მიწათმფლობელობა; სოფლის მეურნეობის ძირითადი სახეობანი: მიწის დამუშავების ხერხები, სახვნელი იარაღები, რწყვა და გაპოხირება, შესაქონლეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა, ნადირობა, ტყავის დამუშავება, ზეთის გამოხდა, ტრანსპორტი.

წარმოდგენილია აგრეთვე შინამრეწველობის სახეობანი, სხვადასხვა ჭსოვილების ნიმუშები, ფშავური, ხევსურული, სვანური ორნამენტებით შესრულებული. ნაჩვენებია ჩუქურთმა ხეზე, ორნამენტების ნიმუშები ქსოვილზე და ლითონზე.

მიუხედავად ამისა, გამოფენის ექსპოზიციას მაინც აქვს ზოგიერთი ნაკლი. დამაკმაყოფილებლად არ არის ნაჩვენები გელაზის გამოყენება. ასევეა მეთევზეობის სტენდი. საუკეთესოდ არის ნაჩვენები გლეხის დარბაზი. მაგრამ მოულოდნელ სურათს ქმნის მის პირდაპირ თავადის სახლი კოშკით, რომელსაც წარწერაც კი არა აქვს. სახლის შინამორთულობა XIX საუკუნის ბერეთელი ნაგებობა არ არის. ამ დარბაზში ასევე ნაჩვენები სახლები საცხოვრებელ სახლებს აღარ ესაბიროებოდა. აქ ძველი და ახალი ერთმანეთთან დაკავშირებულია ძრაიორგანულად. თუ სინამდვილეში იყო ასეთი შეუსაბამობა, ამას უფრო მეტი მეცნიერული ანალიზი და დამუშავება ესაჭიროება, ვიდრე ეს გამოფენაზეა ნაჩვენები. ვადმონაშენების არსებობა ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გასაგები მოვლენაა. მაგალითად, დღეანდელი მწყემსი ხმარობს წინანდელი მწყემსის ტანსაცმელს. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალმა შინაარსმა, ვერ მოასწრო რა თავისი ფორმის შექმნა, ისესხა ძველი. მზამზარეული ფორმა, რომელიც აკმაყოფილებს ახალი შინაარსის მოთხოვნილებებს და ამით ხელს უწყობს მის შემდგომ განვითარებას. ამრიგად, ეთნოგრაფიული გადმონაშთი პროგრესულ როლს თამაშობს ახალ ყოფაში. მაგრამ სრულიად გაუგებარია ისეთი გადმონაშთი, რაც ხმარებაში აღარ არის.

გამაკაუთრებით ფართოდ არის წარმოდგენილ საბჭოთა საქართველოს ახალი ყოფისა და კულტურის განყოფილების ექსპოზიცია. აქ ძირითადად ფოტოსურათებით, დიაგრამებით, ნახატებით, მოდელებითა და მაკეტებით ნაჩვენებია ქართველი ხალხის საბჭოთა სოციალისტური კულტურა და ყოფაცხოვრება, რაც მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

მნახველის თვალწინ იშლება: ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის, ი. ტ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის, კიროვის სახელობის ჩარხშენებელი ქარხნის დიდი მიღწევები, მუშათა საწარმოო, საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფა.

დღითიდღე იზრდება და მშვენდება მეტალურგების ახალი, სოციალისტური ქალაქი რუსთავი — ოსმოსშემდგომი ხუთწლედის პირმეხი. მოკლე ხნის განმავლობაში აშენდა მრავალი ნათელი, კეთილმოწყობილი სახლი, რომლებშიც კულტურულად ცხოვრობენ მეტალურგიული ქარხნის მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები. ეს კარგად იგრძნობა მთელი გამოფენის ექსპოზიციაში.

გამოფენის შესავალშივე მოცემულ მაკეტში მოხერხებულად არის ნაჩვენები ჭიათურის მარგანეცის შაფაროეში მუშაობის პროცესი. საინტერესო შთაბეჭდილებას ტოვებს ავრეთვე ზესტაფონის ფეროშენადნობის და რუსთავის ფოლადის პროდუქციის ჩვენებაც.

საბჭოთა საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობა მდიდრად არის წარმოდგენილი. ფოტოების, მაკეტებისა და კარტოგრამების საშუალებით ნაჩვენებია საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საქართველოს მონაწილეობა, საქართველოსა და მოძმე რესპუბლიკების მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება; კოლმეურნეთა ახალი ყოფა; კოლექტიური მეურნეობის ძირითადი დარგები: მემინდვრეობა, მევენახეობა, მეცხოველეობა, მეფრინველეობა-მეზოსტნეობა, საბჭოთა მეურნეობანი, მანქანა-ტრაქტორთა სადგურები. აქვეა ნაჩვენები ფოტოსურათებში საკოლმეურნეო სპორტის სხვადასხვა სახეები. დამაკმაყოფილებელი არ არის მცირე მზატვრობა, რომელიც არ იძლევა საქართველოს არც ერთი კუთხის გეოგრაფიისა და მეურნეობის კონკრეტულ სურათს.

გამოფენა — ძველი და ახალი ყოფა და კულტურა — სრულ წარმოდგენას იძლევა იმ უდაოდ ცვლილებებზე, რომლებიც მოხდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ქართველი საბჭოთა ეთნოგრაფები ამ გამოფენის მოწყობით არ უნდა დაკმაყოფილდნენ. მუზეუმში წლების განმავლობაში თავმოყრილი მდიდარი ექსპონატების მეცნიერული დამუშავებით მათ მოახერხებს საქართველოს ძველი და ახალი ეთნოგრაფიის ისტორიის ჩვენება. ისინი მნახველთა წინაშე წარმოდგებიან უტყვი საგნებით. საზოგადოება კი უფრო მეტს მოითხოვს: აუცილებლად სასარგებლო იქნება, თუ ეთნოგრაფთა კოლექტივი დაწერს პოპულარულ ტექნიკურ-მეცნიერულ გამოკვლევას ამ გამოფენის შესახებ თანდართული გზამკვლევით. ასეთი წიგნი დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ფართო მასებში პოპულარიზაციის საქმეს.

შ. გოზალიშვილი.

ეკონომიურ თემაზე

სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება საერთო-სახალხო საქმეა

სოციალისტური ეკონომიკა მტკიცედ მიდის წინ შემდგომი აღმავლობის გზით. იზრდება სამეწველობის პროდუქციის გამოშვება. მწყობრში დგებიან ახალი ფაბრიკა-ქარხნები. საწარმოები იარაღდებიან სრულყოფილი მანქანებითა და მექანიზმებით.

სახალხო მეურნეობის განუხრელი ზრდა ეფუძნება ხორციელდება საკუთარი რესურსებით, ფაბრიკების შიდაწყარიოებით. დაგროვების უმნიშვნელოვანესი წყაროა სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების სისტემატური შემცირება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში მეზუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ აღნიშნულია, რომ საბჭოთა მეზუთე ხუთწლედში სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება შემცირდეს დაახლოებით 25 პროცენტით.

ჩვენი დიდი ქვეყნის საწარმოთა კოლექტივებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის უფრო მომჭირნე ხარჯვის, შრომის ნაყოფიერების გადიდების შედეგად სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება 1954 წელს დაახლოებით 4 პროცენტით შემცირდა. მაგრამ 1954 წელს მაინც არ დასრულებულა სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალება.

ამ დავალების შეუსრულებლობის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ წარმოებაში შრომის არაგანმტკიცებული ორგანიზაციის შედეგად, ფაქტობრივ ბევრი სამრეწველო საწარმო მუშაობდა არარიტმულად. პროდუქციის დიდ ნაწილს წლის ბოლოს უშვებდა, ხოლო შემდეგი თვის მანძილზე ეკომშვებას ამცირებდა. არარიტმული მუშაობა იწვევდა მუშების და მოწყობილობის ტვირთვას, გვიმით დაღგენილი მუშაობა რაოდენობის გაზრდას, უნაყოფო ხარჯებს, ხელფასის ზრდის გადახარჯვას.

თვითეული საწარმო დაინტერესებული უნდა იყოს გეგმის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებით. ასეთ დაინტერესებას იწვევს სამეურნეო ანგარიშის პრინციპის დანერგვა და განმტკიცება. სამეურნეო ანგარიში წარმოადგენს სოციალისტური საწარმოების, გეგმიანი მართვის მეთოდს და მათი ეკონომიკის შინაგანი ორგანიზაციის ფორმას.

სამეურნეო ანგარიში უშუალოდ დაკავშირებულია თვითღირებულების კატეგორიასთან. პროდუქციის ერთეულზე საწარმოო დანახარჯები პროდუქციის თვითღირებულებაში აისახება.

პროდუქციის საფაბრიკო-საქარხნო თვითღირებულების შემადგენელი ელემენტებია: მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი დანარიცხებით, წარმოების პროცესში მოხმარებული ნედლეულის, მასალების; სათბობის, ელექტროენერგიის დანახარჯები, ძირითადი ფონდების გაცვეთილი ნაწილის ღირებულება (ამორტიზაცია) და სხვადასხვა ფულადი ხარჯები ადმინისტრაციულ-სამმართველო საჭიროებისათვის.

პროდუქციის სრული თვითღირებულების განგარიშებისას მას დაემატება რეალიზაციის ხარჯები.

პროდუქციის თვითღირებულება საწარმოს მუშაობის მთავარი, შემაჯამებელი, ხარისხობრივი მაჩვენებელია. პროდუქციის თვითღირებულებაში აისახება საწარმოს ყველა დადებითი და უარყოფითი მხარე.

ი. ბ. სტალინი 1927 წელს აღნიშნავდა: „ძირითადი ხაზი, რომლითაც უნდა წავიდეს ჩვენი ინდუსტრია, ძირითადი ხაზი, რომელმაც უნდა განსაზღვროს მისი ყველა შემდგომი ნაბიჯი,— ეს არის, მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების სისტემატური შემცირების ხაზი, სამრეწველო საქონლის გასაცემი ფასების სისტემატური შემცირების ხაზი. ეს არის ის შარაგზა, რომლითაც უნდა იაროს ჩვენმა ინდუსტრიამ, თუ მას სურს განვითარდეს, თუ მას სურს განმტკიცდეს, თუ მას სურს წინ გაუძღვეს სოფლის მეურნეობას, თუ მას სურს განამტკიცოს და გაფართოოს ჩვენი სოციალისტური ეკონომიკის საფუძველი“.

პროდუქციის თვითღირებულებაში გამოხატულებას პოულობს საწარმოს ეკონომიური საქმიანობა. თვითღირებულებაში აისახება საწარმოს მუშაობის ორგანიზაციული დონე, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლის ხარისხი, ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობით ხარჯვისა და მანქანებისა და მოწყობილობის გამოყენების ეფექტიანობა. პროდუქციის თვითღირებულებაში ავრეთვე აისახება საწარმოს მიერ გაწეული ყოველგვარი ხარჯი.

თვითეულ საწარმოს ეძლევა პროდუქციის თვითღირებულების დონის საგეგმო დავალება. თვითეული საწარმო დაინტერესებულია იმით, რომ შეამციროს როგორც ცოცხალი, ისე გასაგნებული შრომის დანახარჯები. ეს საშუალებას იძლევა გაეზარდოთ შინასამრეწველო დაგროვება და დავაჩქაროთ გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების ტემპები.

ბრძოლა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ნიშნავს იმას, რომ წარმოების ყველა უბანზე, ყველა საამქროში გავუმჯობესოთ შრომის ორგანიზაცია, სრული სიმძლავრით გამოვიყენოთ იარაღ-მანქანები, მომჭირნედ ვხარჯოთ ნედლეული და მასალები, მაქსიმალურად გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, ვიმუშაოთ რიტმულად, გრაფიკის მიხედვით.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საერთო-სახალხო მნიშვნელობა: წარმოების ხელმძღვანელებს ავალებს არ დაკმაყოფილდნენ საერთო ციფრობრივი მაჩვენებლებით, ვინაიდან ციფრებს უკან ზჩირად იმალება მუშაობის ნაკლოვანი მხარეები, ღრმად ჩასწვდნენ წარმოების ეკონომიკას და არასოდეს არ დაივიწყონ, რომ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლაში აისახება შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდება. შრომის ნაყოფიერების ზრდა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების უმნიშვნელოვანესი პირობაა. მას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

შრომის ნაყოფიერების განუხრელი გადიდებისათვის ყველა მუშამ უნდა შეისწავლოს წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა გამოცდილება, საჭიროა ამ გამოცდილების განზოგადება და ფართოდ გავრცელება. შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ტექნიკურ დანორმვას. ბევრ საწარმოში დანორმვა დამაკმაყოფილებლად ვერ არის დაყენებული. ჯერ კიდევ იყენებენ შემცირებულ, ევრეთნოდებულ საკვლევ-სტატისტიკურ ნორმებს, რომლებიც არ შეესაბამება წარმოების ტექნიკის თანამედროვე დონეს, ვერ ასახავს მოწინავე მუშების გამოცდილებას და ვერ უწყობს ხელს შრომის ნაყოფიერების ზრდას. საჭიროა აღმოვფხვრათ შრომის ნაყოფიერების ზრდის ხელშემშლელი მიზეზები, განვახორციელოთ კომპლექსური მექანიზაცია, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დაეწიოთ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები, სისტემატურად სრულყოთ შრომისა და წარმოების ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები.

ჩვენი ქვეყნის საარსებო ინტერესები მოითხოვენ განუხრელად ვიცავდეთ მომჭირნეობის უმკაცრეს რეჟიმს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენს ხალხს ასწავლიან აღმოფხვრან ყოველგვარი ზედმეტობა მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების ხარჯვაში, გულმოდგინედ გაუფრთხილდნენ და მაღალი წარმადობით გამოიყენონ მანქანები და სხვა მოწყობილობა, ანგარიშიანად და მომჭირნეობით ხარჯონ ყველა სახეობის ნედლეული და მასალები, სათბობი და ელექტროენერგია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ფაბრიკაში და ქარხანაში ურიგდებიან ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერგიისა და სხვა მატერიალური ფასეულობის არამომჭირნეობით ხარჯვას, ამასთან არღვევენ ხარჯვის დაწესებულ ნორმებს. იმის გამო, რომ არ იცავენ დაწესებულ ტექნოლოგიას, პროდუქცია ხშირად გამოდის წუნდებული, ეს კი ადიდებს პროდუქციის თვითღირებულებას. საწარმოს ხელმძღვანელებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ ბრძოლა მომჭირნეობისათვის ხანმოკლე კამპანია კი არ არის, არამედ მეურნეობის გაძღოლის მუდმივი, სოციალიზმისათვის დამახასიათებელი მეთოდია.

ფაბრიკა-ქარხნების მუშაკთა მთელი შემოქმედებითი დონისძიებანი იქითკენ უნდა წარიმართოს, რომ სრულად გამოიყენონ საწარმოს მოწყობილობა, უზრუნველყონ არსებული საწარმოო ფართობის თვითეული კვადრატული მეტრიდან პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობით მიღება. ყველა რეზერვის ამოქმედება და მისი მაქსიმალურად გამოყენება ნიშნავს იმას, რომ საწარმოო ფართობის გაუდიდებლად და მასალების უდიდესი მომჭირნეობით გამოვუშვათ გაცილებით მეტი პროდუქცია, ვიდრე მას დღემდე ვუშვებდით. სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არის ისეთი საწარმოები, რომლებიც ვერ ასრულებენ სახელმწიფო დავალებებს. ხოლო თუ ასრულებენ, ამას აღწევენ ე.წ. „შობანის გზით“ და დიდი საწარმოო დანაკარგების ფასად. ასეთი მდგომარეობაა იქ, სადაც ნაკლებად ზრუნავენ შრომის სწორი ორგანიზაციისა და ტექნიკის ნაყოფიერად გამოყენებისათვის.

ჩვენ გვაქვს მძლავრი ტექნიკური ბაზა, გვყავს რთულ ტექნიკას დაუფლებული კვალიფიციური კადრები და, მაშასადამე, ყველა შესაძლებლობა მოგვეპოვება საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის. ამ განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრას ხმარდება მილიონობით საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითი ძალები. შრომის ნაყოფიერების გადიდება, — აბობდა ვ. ი. ლენინი, — ჩვენი საზოგადოების ძირეული ამოცანაა, რომლის გადაუჭრელადაც კომუნიზმში გადასვლა შეუძლებელია.

ჩვენი ქვეყნის საწარმოთა კოლექტივები რომ დიდად ზრუნავენ შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, ამას მკაფიოდ აღასტურებს ის, რომ შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 1954 წელს 1953 წელთან შედარებით გადიდდა 7 პროცენტით, ხოლო ნაციონალური შემოსავალი გაიზარდა 11 პროცენტით.

საწარმოთა კოლექტივები, ამცირებენ რა პროდუქციის თვითღირებულებას, ამით აღწევენ საზოგადოებრივი კვლავწარმოების მასშტაბის გაფართოებას და ნაციონალური შემოსავლის გადიდებას. ნაციონალური შემოსავლის ზრდა კი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების ძირითადი მაჩვენებელია. ჩვენს ქვეყანაში ნაციონალური შემოსავალი მშრომელთა კუთვნილებას შეადგენს და მათს კეთილდღეობას ხმარდება.

თვითღირებულების შემცირებით მიღებული ეკონომია ზრდის ნაციონალურ შემოსავალს, შესაძლებლობას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას განუხრელად აამაღლონ მშრომელთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე, სისტემატურად შეამცირონ საქონლის ფასები. რაც უფრო დაბალია პროდუქციის თვითღირებულება და მაღალია შრომის ნაყოფიერება, მით უფრო მეტი მატერიალური დოვლათის გამოყოფა შეიძლება საბჭოთა ხალხის მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

იმ საწარმოებში, სადაც ფართო მოძრაობაა შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ამაღლებისათვის, წარმოების შინაგანი რესურსების გამოვლინებისათვის, სადაც აქტიურად უჭერენ მხარს რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს, უკუაგდებენ ყოველივე ჩამორჩენილსა და უკანგრეს, რაც აფერხებს წარმოების წინსვლას, მტკიცედ იცავენ მომჭირნეობის რეჟიმს, ყოველდღიურად ზრუნავენ შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის,—შედეგებსაც კარგს აღწევენ.

ასეა, მაგალითად, თბილისის მოლოტოვის სახელობის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკაში, სადაც სამეურნეო ხელმძღვანელები ღრმად სწვდებიან წარმოების საკითხებს, ყოველთვიურად უკეთებენ ანალიზს გეგმის შესრულების ციფრობრივ მონაცემებს, სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ასეთმა შუმაობამ კარგი შედეგი გამოიღო. 1954 წელს პროდუქციის თვითღირებულება შეამცირეს ყველა მაჩვენებლის მიხედვით და მიაღწიეს იმას, რომ არცერთ მუხლში არ დაუშვეს გადახარჯვა. ნედლეულის, ყველა სახის მასალებისა და საწვავის მოჭარნეობით ხარჯვის შედეგად დაზოგეს 496 ათასი მანეთი, საამქრო ხარჯების შემცირებით — 118 ათასი მანეთი, საერთო საფაბრიკო ხარჯების შემცირებით — 25 ათასი მანეთი, ხოლო ხელფასის ეკონომია შეადგენს 232 ათას მანეთს. ამრიგად, სულ სახელმწიფოს დაუზოგეს 871 ათასი მანეთი. ასევე კარგად მუშაობენ და სახელმწიფოს მრავალი ასეული ათასი მანეთის ეკონომიას აძლევენ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხშენებელი და 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნები.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ სამეურნეო ხელმძღვანელს ავიწყდება თვითღირებულების შემცირების, რენტაბელობის გადიდების, შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხები, ანალიზს არ უკეთებს ცალკეულ ციფრობრივ მონაცემებს, რის უკანაც

უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის რეზოლუცია

ბუდაპეშტი, 9 მარტი. (საკ.ფსი). დღეს გაზეთებში გამოქვეყნებულია რეზოლუცია პოლიტიკური მდგომარეობისა და უნგრეთის მშრომელთა პარტიის ამოცანების შესახებ, რომელიც ერთხმად მიიღო უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 2-4 მარტის პლენუმმა.

რეზოლუციაში აღნიშნულია ის წარმატებანი, რომლებსაც უნგრეთის მშრომელებმა მიაღწიეს განვლილი 10 წლის მანძილზე სოციალისტურ მშენებლობაში, აგრეთვე აღნიშნულია, რომ სოციალიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში პარტიამ დაუშვა მთელი რიგი შეცდომები. 1951 წლიდან, ნათქვამია რეზოლუციაში, აღებულ იქნა გეზი განვითარების ისეთ ტემპზე, რომელიც მეტისმეტად მაღალი იყო ჩვენს სამეურნეო პირობებში და ჩვენი სოციალისტური მრეწველობის ორსებულ შესაძლებლობათა დროს. სამიწათმოქმედო საწარმოო კოოპერატივების განვითარებაში ცალკეულ შემთხვევებში საკმაოდ არ იყო დაცული ნებაყოფლობის პრინციპი და საჭირო ყურადღება არ ექცეოდა ერთიანროვნული გლეხური მეურნეობების განვითარების შესაძლებლობათა გამოყენებას. 1953 წლის ივნისში ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა უნგრეთის მდგომარეობა და სოციალისტურ მშენებლობაში დაშვებული შეცდომების გაგებული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში შეიმუშავა ამ შეცდომათა აღმოფხვრის ღონისძიებანი.

გადაწყვეტილებანი, რომლებიც ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო 1953 წლის ივნისში, სავსებით სწორი აღმოჩნდა. მაგრამ ამ სწორი გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის წარმატებით ბრძოლასთან ერთად ძათი შესრულების მსვლელობაში დაშვებულ იქნა შეცდომები. უფრო მეტიც, ზოგიერთმა ოპორტუნისტულად და ანტიმარქსისტულად დამახასიათებელ გადაწყვეტილებანი, რამაც გამოიწვია მაინე მემარჯვენე შეცდომები. მემარჯვენე გადახრა.

იმ სერიოზულ სიძნელეთა მიზეზები, რომლებიც გამოვლინდა ჩვენს სახალხო მეურნეობაში, უწინარეს ყოვლისა უნდა ვეძებოთ იმაში, რომ ამ ბოლო დროს, 1953 წლის ივნისიდან, პარტიაში, სახელმწიფო აპარატსა და სხვა დარგებში გავრცელდა მემარჯვენე ანტიმარქსისტული, ანტიპარტიული, ოპორტუნისტული შეხედულებანი, რომელთა გავლენით შეჩერდა მრეწველობის განვითარება, შემცირდა სოციალისტური დაგროვება, შესუსტდა სახელმწიფო და სამოქალაქო დისციპლინა.

მაგრ მემარჯვენე შეხედულებანი, აღნიშნულია რეზოლუციაში, თავს იჩენენ უწინარეს ყოვლისა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის სწორი პოლიტიკის დამახინჯებით. ჩვენი პარტიის ივნისის გადაწყვეტილებანი, პარტიის მესამე ყრილობის გადაწყვეტილებანი და სხვა დიდმნიშვნელოვანი პარტიული გადაწყვეტილებანი მკაფიოდ აღნიშნავენ, რომ სოციალიზმის მშენებლობის მთავარი საშუალება სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, რომ საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას წარმოების საშუალებათა უპირატესი წარმოება.

მემარჯვენე შეხედულებანი სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის საკითხში, ნათქვამია შემდეგ რეზოლუციაში, თავს იჩენენ არა მარტო იმით, რომ ამ შეხედულებათა გამტარებლნი უარყოფენ მძიმე მრეწველობის უპირატეს განვითარებას, არამედ იმითაც, რომ ისინი ჯეროვნად ვერ აფასებენ წარმოების, შრომის ნაყოფიერების მუდმივი ზრდის, აგრეთვე თვითღირებულების განუწყვეტელ შემცირების როლსა და მნიშვნელობას. ეს საშიშ დემაგოგიაა, ხალხის მოტყუებაა. „შრომის ნაყოფიერება, — აღნიშნავდა ლენინი, — ეს, საბოლოო ანგარიშით, ყველაზე მნიშვნელოვანი. ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გასამარჯვებლად“. მხედველობიდან უშვებდა რა ლენინის ამ უმნიშვნელოვანეს მოძღვრებას, ამხანაგი იმრე ნაგი ხშირად უშვებდა იმ შეცდომას, რომ ივწყვდება სოციალიზმის გამარჯვების თვალსაზრისით ამ. უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს საქმეს — შრომის ნაყოფიერების განუწყვეტლივ გადიდების საჭიროებას, უროშლისოდაც ჩვენი ქვეყანა ვერ განმტკიცებს და ვერ აამაღლებს თავის ეკონომიკას. ურომლისოდაც ყველა დაჰირება მშრომელთა საარსებო დონის ამაღლების შესახებ დაუსაბუთებელი და ფუჭია და ნიშნავს მშრომელთა მოტყუებას.

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ განსაკუთრებით დიდი ზიანი მოიტანა მარქსიზმ-ლენინიზმისათვის უცხო იმ მემარჯვენე შეხედულებებმა, რომლებმაც თავი იჩინა გლეხობის მიმართ პარტიის პოლიტიკის ძირითად საკითხებში. ამასთან დაკავშირებით პარტიის ცენტრალური კომიტეტი ადასტურებს, რომ მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირის შემდგომი განმტკიცება მას მიაჩნია თავის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად.

რეზოლუცია გმობს იმ ვაი-თეორეტიკოსებს, რომლებიც უარყოფენ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის აუცილებლობას და ამ საბაბით გეზი აიღეს იმაზე, რომ დაბრკოლებები შეექმნათ საწარმოო-კოოპერაციულ მოძრაობაში.

ასევთმა შეხედულებებმა, ნათქვამია რეზოლუციაში, დიდი როლი შეასრულა იმაში, რომ ჩვენი საწარმოო-კოოპერაციული მოძრაობა გასულ წელს რაოდენობრივად არ იზრდებოდა და რამდენადმე კიდევაც შემცირდა, მიუხედავად იმისა, რომ საწარმოო კოოპერატივების მნიშვნელოვანი ნაწილის წევრები უკვე ახლა უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე საშუალო ერთპიროვნული მეურნეები.

ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია დაუცხრომელი პოპულარიზაცია გაეწიოს ერთპიროვნულ მშრომელ გლეხებში კოოპერატივებისა და მათს უპირატესობებს, როგორც აღმავლობის ერთადერთ შესაძლო გზას.

გაძლიერებულმა მემარჯვენე ოპორტუნისტულმა გადახრამ, აღნიშნულია რეზოლუციაში, თავი იჩინა აგრეთვე პარტიის ხელმძღვანელი როლის დაწინებით. ზოგიერთი უარყოფდა პარტიის ხელმძღვანელ როლს სამამული სახალხო ფრონტში... ზოგიერთს სურდა გადაექცია სამამული სახალხო ფრონტი სახალხო დემოკრატიის ყველაზე ყოვლისმომცველ მასობრივ ორგანიზაციად და ამით არსებითად ესწრაფოდა სამამული სახალხო ფრონტისათვის მიენიჭებინა უფრო დიდი როლი, ვიდრე ადგილობრივი საბჭოებისათვის, რომლებიც, როგორც ცნობილია, ყველაზე ყოვლისმომცველი მასობრივი ორგანიზაცია და სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებია და რომლებსაც თვით მშრომელი ხალხი ქმნის არჩევნების დროს. ამ მემარჯვენე შეხედულებათა მომხრეებს არსებითად სურდათ რევიზია გაეკეთებინათ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებისათვის პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ.

სახალხო დემოკრატიის წყობილებაში ყველაზე დიდმნიშვნელოვანია, უთუოდ, მუშათა კლასის რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის უზრუნველყოფა. თუ ეს არ არის უზრუნველყოფილი, არ არის სახალხო დემოკრატია!

რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ გაძლიერებული მემარჯვენე შეხედულებანი მიმართული იყო პარტიის შინაგანი ცხოვრების ძირითადი პრინციპების, მთელი მისი საბრძოლო საქმიანობის წინააღმდეგ, აგრეთვე დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების წინააღმდეგ. ეს მემარჯვენე — რევიზიონისტული თვალსაზრისია, და იგი, პარტიას რომ არ გაელაშქრა მის წინააღმდეგ, საბოლოო ანგარიშით დაუკარგავდა ჩვენს პარტიას, როგორც მუშათა კლასის რევოლუციურ პარტიას, მოწინავე და ორგანიზებული რაზმის ხასიათს, მოსპობდა პარტიის ნების ერთიანობას, კარს გაუღებდა პარტიის შიგნით სხვადასხვა დაჯგუფების შექმნას.

ცენტრალური კომიტეტი შემდეგ აღნიშნავს, რომ მემარჯვენე საფრთხემ გამოხატულება ჰპოვა აგრეთვე კომუნისტური კრიტიკისა და თვითკრიტიკის დამახინჯებით, ანარქისტული, მეშჩანური მიმართულებით, და ადასტურებს: საჭიროა გაბედულად გავაჩაღოთ კონსტრუქციული კომუნისტური კრიტიკა, ურომლისოდაც შეუძლებელია ჩვენი პარტიის კარგი მუშაობის უზრუნველყოფა და მშენებლობის პროცესში მყოფი ჩვენი სოციალისტური საზოგადოების წინსვლა.

რეზოლუცია მოითხოვს ბრძოლას მემარჯვენე გადახრის ერთ-ერთი ყველაზე საშიში გამოვლინების — ნაციონალიზმისა და შოვინიზმის წინააღმდეგ და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ჩვენი ხალხის აღზრდაში გადამწყვეტ როლს ასრულებს სოციალისტური საბჭოთა კავშირის, ჩვენი დიდი განმათავისუფლებლის ხალხებისადმი ღრმა მადლობისა და სიყვარულის გრძნობის განვითარება“.

მემარჯვენე შეხედულებანი ჩვენს პარტიასა და ჩვენს სახელმწიფოში, ნათქვამია შემდეგ რეზოლუციაში, ასე თუ ისე გახდა იმიტომ, რომ ამხანაგი იმრე ნაგი თავის გამოსვლებსა და სტატიებში მხარს უჭერდა ამ ანტიმარქსისტულ შეხედულებებს, უფრო მეტიც, უწინარეს ყოვლისა იგი იყო ამ შეხედულებათა მქადაგებელი.

ამხანაგ იმრე ნაგის მემარჯვენე ხაზის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი გამოვლინდა იმით, რომ იგი უარყოფდა და ჯეროვნად არ აფასებდა პარტიის მიერ მოპოვებულ შესანიშნავ გამარჯვებებს და სისტემატურად ჩქმალავდა წარმატებებს.

ამხანაგი ნაგი — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, აგრეთვე ჩვენი ცალკეული სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები არ ცდილობდნენ დაერაზმათ მუშათა კლასი საწარმოო გეგმების მთლიანად და გაფაბრებით შესრულებისათვის, მრეწველობის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, თვითღირებულების შემცირებისა და ტექნიკის უკეთ გამოყენებისათვის. პირიქით, ამხანაგ ნაგსა და ზოგიერთ სხვა ამხანაგს სამინისტროებიდან პრესაში იაფფასიანი დემაგოგიური დაპირებებით მოკიმტაში შეჰყავდათ მუშათა კლასი, აგრეცელებდნენ მუშათა კლასში თვითდაშვიდების განწყობილებას, უსაქმურობის სულისკვეთებას, ეგუებოდნენ მუშების ზამორჩენილ ფენებს და ამით გახანგრძლივეს ელემენტები შეჰქონდათ მუშათა კლასში. სწორედ ეს იყო 1954 წლის მრეწველობის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის ძირითადი მიზეზი.

რეზოლუციის დასკვნის ნაწილში განსაზღვრულია პარტიის ამოცანები სოციალიზმის შენებლობაში. ცენტრალური კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წარმატებითი სოციალისტური მშენებლობისათვის „საჭიროა თანმიმდევრულად განვახორციელოთ ჩვენი პარტიის გენერალური ხაზი, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა, უზრუნველვყოთ მძიმე მრეწველობის უპირატესი ზრდა სახალხო მეურნეობაში. სოციალისტური მრეწველობის, და მის შიგნით უფრონაღს ყოვლისა მძიმე მრეწველობის, განვითარება განმტკიცებს სოციალიზმის მატერიალურ საფუძვლს. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელება, ნათქვამია რეზოლუციაში, აუცილებელი პირობაა სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისა, რომლის ძირითადი გზაა კოოპერაციული მოძრაობის განვითარება მშრომელი გლეხობის ნებაყოფლობითი გაერთიანების პრინციპის დაცვით.

მშრომელი ხალხის ცხოვრების დონის თანმიმდევრული ამაღლება მოითხოვს, რომ განუწყვეტლივ იზრდებოდეს როგორც საბრეწველო, ისე სასოფლო-სამეურნეო წარმოება.

ცენტრალური კომიტეტი ავალებს პოლიტბიუროს პარტიის მესამე ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად შეიმუშაოს დაწვრილებითი დირექტივები მეორე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, ამასთან მხედველობაში მიიღოს მძიმე მრეწველობის, ხოლო მის შიგნით — წარმოების საშოალებათა წარმოების პირველხარისხოვანი მნიშვნელობა, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება და მექანიზაცია, სოციალიზმის საფუძვლების შექმნა სოფლის მეურნეობაში, აგრეთვე მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი ზრდა.

„ცენტრალური კომიტეტი მტკიცედ დარწმუნებულია, რომ ბრძოლაში გამოწრთობილი უნგრეთის მშრომელთა პარტიის ყველა ორგანიზაცია, უნგრეთის სახელოვანი მუშათა კლასი, ჩვენი მშრომელი ხალხის მილიონანი მასები აღფრთოვანებული, მედგარი, თავდადებული მუშაობით განახორციელებენ იმ დიად ეროვნულ ამოცანებს, რომლებიც ამ გადაწყვეტილებათ დასახულია ჩვენი ქვეყნის აღმავლობის ინტერესებისათვის, ჩვენი ხალხის ბედნიერებისათვის“.

ბიენალის სვეტი

ლონდონი, 9 მარტი. (საკ.ფსი). დღეს გაზეთმა „ნიუს-ქრონიკლმა“ დაბეჭდა ბიენალის სტატია, რომელიც იგი მოითხოვს მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვას და საბჭოთა კავშირთან დაუყოვნებლივ მოლაპარაკებას. ბიენალმა აღნიშნა, რომ თითქმის ერთი წლის წინათ „თემთა პალატამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს ატომური იარაღის მქონე სახელმწიფოთა თათბირის მოწვევას“, და თქვა, რომ ეს თათბირი არ მოეწყო იმის შედეგად, რომ დასავლეთის სახელმწიფოები თავიანთ საქმიანობაში ეყრდნობიან „ბალის პოზიციიდან მოლაპარაკების პოლიტიკას“.

ბიენალ ხაზგასმით აღნიშნავს ამ პოლიტიკის უსაფუძვლობას და წერს: „სწორედ რუსეთი მტკიცედ მოითხოვს, რომ რაც შეიძლება მალე მოეწყოს მოლაპარაკება, ჩვენ კი ვაფერხებთ ამას... ამასთან, პრობლემები, რომლებიც კაცობრიობის წინაშე დგას, არ შეიძლება გადაიჭრას ომის გზით... ჯერ კიდევ არის დრო იმისათვის, რომ გონიერმა და მამაცმა სახელმწიფო მოღვაწეებმა რადიკალურად შეცვალონ ყველა პერსპექტივა, რაც კაცობრიობას მოელის.

მაგრამ, თუ ჩვენ უარს ვიტყვით სსრ კავშირთან და მის მოკავშირეებთან ერთად განვიხილოთ საერთაშორისო დაძაბულობის მიზეზები, მათ შორის გერმანიის შემდგომი ბედის საკითხი, რაც ევროპის პრობლემის ქვაკუთხედია, ამ დაძაბულობის დატოვების გამო დანაშაულის მთელი სიმძიმე დასავლეთს დაეკისრება“.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 9 მარტი. (საკ.ფსი). ეროვნულმა კრებამ 367 ხმით 228 ხმის წინააღმდეგ მოიწონა „საერთო გასავლის“ ბიუჯეტის მთავრობის პროექტი. ყველაზე მეტი დავა გაჩაღდა სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების ხელფასის ასიგნობათა საკითხზე. დეპუტატები — კომუნისტები, სოციალისტები და პროგრესულ რესპუბლიკელთა კავშირის წევრები აკრიტიკებდნენ მთავრობის პროექტს. დეპუტატმა რენე ლამმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობის მიერ წარმოდგენილი ასიგნობანი სასაცილოა, რადგან მათ შესაბამისად სახელმწიფო მოსამსახურეთა ხელფასი შეიძლება გადიდდეს კატეგორიების მიხედვით მხოლოდ 27-დან 887 ფრანკამდე თვეში, მაშინ როცა სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეები მოითხოვენ ხელფასის გადიდებას თვეში საშუალოდ 4 ათასი ფრანკით.

კენჭისყრის წინ სიტყვა წარმოთქვა მთავრობის მეთაურმა ედგარ ფორმა, რომელიც დაეთანხმა მოითხოვდა ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეგი კენჭისყრის შედეგების მიხედვით დასვამს თავისი მთავრობის არსებობის საკითხს. ეს ნიშნავდა ნდობის საკითხის არაპირდაპირ დასმას.

წყალდიდობა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 9 მარტი. (საკ.ფსი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ოჰაიოს, კენტუკის, დასავლეთ ვირგინიის შტატებში მდინარე ოჰაიოს ადიდების შედეგად ათასობით ადამიანი უსახლოდ დარჩა. ზარალი რამდენიმე მილიონ დოლარს აღწევს.

ამერიკელი მღვდელი ბისონეგი სსრ კავშირიდან წავიდა

ამა წლის 26 თებერვალს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მოსკოვში აცნობა, რომ ამერიკაში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეგზარხოსის მთავარეპისკოპოს ბორისისა და მისი მდივნის შიშკინის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მოქმედებასთან დაკავშირებით შეუძლებლად არის მიჩნეული ამერიკელი მღვდლის ბისონეტის შემდგომი ყოფნა საბჭოთა კავშირში და რომ უახლოეს დღეებში ეგი სსრ კავშირიდან უნდა წავიდეს.

5 მარტს ბისონეტი საბჭოთა კავშირიდან წავიდა.

პრეზიდენტ ჭიჭოს მოხსენება იუგოსლავიის პარლამენტის სესიაზე

ბელგრადი, 8 მარტი. (საკ.ფსი). როგორც ტანიუგის საგენტო იუწყება, პრეზიდენტმა ტიტომ 7 მარტს იუგოსლავიის სახალხო სკუპშინის სესიაზე გააკეთა მოხსენება გასული წლის მანძილზე იუგოსლავიის საგარეო პოლიტიკის შესახებ. ილაპარაკა რა, კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობაზე, მან აღნიშნა, რომ ამ ორგანიზაციამ „ვერ გაამართლა კაცობრიობის იმედები“. ტიტომ განაცხადა, რომ იუგოსლავია წინააღმდეგია მსოფლიოს ბლოკებად დაყოფისა და გამალებული შეიარაღებისა, და აზრი გამოთქვა „აქტიური თანაარსებობის“ პოლიტიკის სასარგებლოდ.

შეეხო რა ურთიერთობას დასავლეთის ქვეყნებთან, ტიტომ თქვა, რომ იუგოსლავიის მთავრობის ღონისძიებანი „მიმართულია დასავლეთის ქვეყნებთან ყველაზე კონსტრუქციული თანამშრომლობის მიღწევისაკენ“. გერმანიის საკითხზე ტიტომ განაცხადა, რომ გერმანიას უნდა მიენიჭოს გაერთიანების უფლება, მაგრამ არ გამოთქვა თავისი დამოკიდებულება პარიზის სამხედრო შეთანხმებებისადმი.

შემდეგ ტიტომ ჩამოაყალიბა იუგოსლავიის მთავრობის პოზიცია საბჭოთა კავშირთან და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან იუგოსლავიის ურთიერთობის საკითხში. აღნიშნა რა, რომ საბჭოთა კავშირთან და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან იუგოსლავიის ურთიერთობის ნორმალიზაცია მნიშვნელოვანი წვლილი იყო ევროპის ამ ნაწილში მშვიდობის სტაბილიზაციის საქმეში და ხელი შეუწყო დაძაბულობის შენელებას მთელ მსოფლიოში, ტიტომ ამავე დროს განაცხადა, რომ არ ეთანხმება მოლოტოვის განცხადებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე უკანასკნელ წლებში იუგოსლავიის პოზიციის საკითხზე.

შემდეგ ტიტომ ილაპარაკა თავის ვიზიტზე ინდოეთსა და ბირმაში.

ტიტოს მოხსენების უკანასკნელი ნაწილი მიეძღვნა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან იუგოსლავიის ეკონომიური თანამშრომლობის პრობლემებს.

ბივენის სვეტი

ლონდონი, 9 მარტი. (საკ.ფსი). დღეს გაზეთმა „ნიუს-ქრონიკლმა“ დაბეჭდა ბივენის სტატია, რომელიც იგი მოითხოვს მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვას და საბჭოთა კავშირთან დაუყოვნებლივ მოლაპარაკებას. ბივენმა აღნიშნა, რომ თითქმის ერთი წლის წინათ „თემთა პალატამ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს ატომური იარაღის მქონე სახელმწიფოთა თათბირის მოწვევას“, და თქვა, რომ ეს თათბირი არ მოეწყო იმის შედეგად, რომ დასავლეთის სახელმწიფოები თავიანთ საქმიანობაში ეყრდნობიან „ბალის პოზიციიდან მოლაპარაკების პოლიტიკას“.

ბივენი ხაზგასმით აღნიშნავს ამ პოლიტიკის უსაფუძვლობას და წერს: „სწორედ რუსეთი მტკიცედ მოითხოვს, რომ რაც შეიძლება მალე მოეწყოს მოლაპარაკება, ჩვენ კი ვაფერხებთ ამას... ამასთან, პრობლემები, რომლებიც კაცობრიობის წინაშე დგას, არ შეიძლება გადაიჭრას ომის გზით... ჯერ კიდევ არის დრო იმისათვის, რომ გონიერმა და მამაცმა სახელმწიფო მოღვაწეებმა რადიკალურად შეცვალონ ყველა პერსპექტივა, რაც კაცობრიობას მოელის.

მაგრამ, თუ ჩვენ უარს ვიტყვით სსრ კავშირთან და ამ ბოლოს ... ...